საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2021 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც 2021 წელს უნდა განხორციელდეს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

1. ამოცანა

შშმ პირთა უფლებების დაცვა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სააგეტომ პრიორიტეტად დაისახა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ცალკეული ამოცანის შესრულება. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში, სააგენტო უზრუნველყოფს ამოცანის შესრულებას, რომელიც გულისხმობს თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებას და შშმ პირთა უფლებების შესახებ მათთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.

2. ლოგიკური ჩარჩო

ამოცანა 1.	საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავება			
აქტივობა 1.1.	სააგენტოს თანამშრომელთათვის შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება			
	შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**		
	შესაბამისი ტრენინგი გაიარა სააგენტოს სულ მცირე 20-მა თანამშრომელმა	სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
		2 000 ლარი	არ არის შერჩეული	0
	პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია			